

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

მცხეთის მუნიციპალიტეტის საგურამოს, გალავნის, ნავდარაანთკარისა და ჯილაურას ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების სივრცითი დაგეგმარების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა

სტრატეგიული დოკუმენტის სახელწოდება: მცხეთის მუნიციპალიტეტის საგურამოს, გალავნის, ნავდარაანთკარისა და ჯილაურას ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების სივრცითი დაგეგმარების გეგმის კონცეფცია;

დამგეგმავი ორგანო: სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო;

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ადგილი: მცხეთის მუნიციპალიტეტის საგურამოს, გალავნის, ნავდარაანთკარისა და ჯილაურას ადმინისტრაციული ერთეულების სოფლები.

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 14.06.2024;

2024 წლის 14 ივნისს, სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა მცხეთის მუნიციპალიტეტის საგურამოს, გალავნის, ნავდარაანთკარისა და ჯილაურას ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების სივრცითი დაგეგმარების გეგმის კონცეფცია და სკოპინგის განცხადება;

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი კონცეფციისა და სკოპინგის განცხადების (თანდართული დოკუმენტაციით), როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე განთავსება (<https://ei.gov.ge/ka/info/eafc97ba-e076-4a1d-bb4e-9050da683526>), ასევე დოკუმენტაციის გაგზავნა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით.

სკოპინგის განცხადება მოიცავს ინფორმაციას, როგორც დამგეგმავი ორგანოს შესახებ, ასევე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებით გათვალისწინებული პროცედურების თაობაზე.

სგშ-ს სკოპინგის განცხადებაში წარმოდგენილია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალის (მცხეთის მუნიციპალიტეტის საგურამოს, გალავნის, ნავდარაანთკარისა და ჯილაურას ადმინისტრაციული ერთეულების სოფლები) გარემოს ზოგადი აღწერა. კერძოდ, დახასიათებულია საპროექტო ტერიტორიის კლიმატური პირობები, გეოლოგიური გარემო, ჰიდროგრაფიული ქსელი და ბიომრავალფეროვნება. აღწერილია, აგრეთვე, საპროექტო არეალის დაცული ტერიტორიები, სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები, კულტურული მემკვიდრეობა და სხვა.

მცხეთის მუნიციპალიტეტის საგურამოს, გალავნის, ნავდარაანთკარისა და ჯილაურას ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების და მათი მიმდებარე ტერიტორიების სივრცითი დაგეგმარების გეგმის კონცეფციის ფარგლებში შემოთავაზებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული მოწესრიგების, განვითარებისა და უზრუნველყოფის წინაპირობები, შესაბამისი ქალაქმშენებლობითი ღონისძიებების, განვითარების ალტერნატივებისა და რეგლამენტირების მონახაზის სახით.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, შემუშავდა **კონცეფციის პრინციპები**, რომლებიც უნდა პასუხობდეს განვითარების **მთავარ ფუნქციას** - **სააგარაკე განაშენიანების ზრდას**.

დოკუმენტის მიხედვით, **პრინციპი 1** დაკავშირებულია **უსაფრთხოებასთან**, რომელიც გულისხმობს დასახლების განვითარების დაგეგმვას სტიქიური უბედურების მინიმუმაციის მაქსიმალური გათვალისწინებით. **პრინციპი 2** მოიცავს **კომპაქტურობას**, რომელშიც მოიაზრება ინტენსიური შიდატერიტორიული განვითარება და ტერიტორიების მაქსიმალურად ეფექტური გამოყენება. **პრინციპი 3** მოიცავს **კარგად შეკავშირებულობას**, რომელიც ითვალისწინებს დასახლებებისა და დასახლებებში საცხოვრებელი უბნების რაციონალურად დაკავშირებას, მთავარი ქუჩის/გზის (მობილობის) კარკასის ჩამოყალიბებასა და დასახლებათა შემდგომი განვითარების პერსპექტივისთვის შესაბამისი საავტომობილო, საქვეითო და საველოსიპედო კავშირების შექმნას. ხოლო **პრინციპი 4** დაკავშირებულია **ჭკვიან ზრდასთან**, რომელიც გულისხმობს საცხოვრებელი ერთეულების, მოსახლეობისა და მომსახურების ობიექტების სიმჭიდროვის იმგვარ რეგულირებას, რომლის შედეგადაც გარემო სტრუქტურულად მოწესრიგებულია და უზრუნველყოფილია ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, განსახლების სტრუქტურა საგურამოს გეგმარებით არეალზე წარმოდგენილია მიწათდაფარულობის დინამიური ხასიათით, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში ტენდენციურად მაღალი ინტენსივობით გამოირჩევა.

დოკუმენტაციაში დასახლებული ტერიტორიები მოცემულია **კლასტერული მოდელის** სახით, რომელიც გულისხმობს დასახლებათა ჯგუფების იდენტიფიცირებას საერთო ნიშნის მიხედვით. საპროექტო ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია ორი სახის კლასტერი:

1. **გაერთიანებული დასახლებები** - დასახლებათა ჯგუფები, სადაც დასახლებებს შორის არ არსებობს ბუფერული ზონები და რომლებიც წარმოქმნის უწყვეტ განაშენიანებას, როგორც ერთიან სხეულს;
2. **გაშორებული დასახლებები** - დასახლებათა ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო სოციალური ინფრასტრუქტურით/მომსახურების სისტემით, თუმცა შესაძლებელია მათი განაშენიანებული არეალები ერთმანეთისგან დაშორებული იყოს რამდენიმე კილომეტრითაც კი.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აგლომერაციულ მასშტაბში ახლად წარმოქმნილი ფუნქციური, კარკასული და კლასტერული მოდელები საპროექტო ტერიტორიის ადგილსა და ფუნქციას უნდა განსაზღვრავდეს ზემოდან - ქვემოთ პრინციპით და ადგილობრივ დონეზე

მიღებული გადაწყვეტილება შესაბამისობაში უნდა იყოს თბილისის აგლომერაციულ სტრუქტურაში საპროექტო ადგილისთვის განკუთვნილ ფუნქციასთან.

დოკუმენტის თანახმად, განსახლება წარმოიქმნება გრძივი სტრუქტურის მქონე სხეულად, რომელსაც არ გააჩნია ერთი ძირითადი ღერძის პარალელური მობილობის დერეფნები, რაც შეკავშირებულობას აფერხებს და არსებულ კარკასზე სატრანსპორტო მობილობის ზეწოლას ზრდის.

მცხეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში გეგმარებითი ერთეული მოიცავს დასახლებათა შემდეგ ჯგუფებს:

- საგურამოს კლასტერი (საგურამო, ახალსოფელი, არაშენდა, შანკევანი);
- გალავნის კლასტერი (გალავანი, ზაქარო, წინამძღვრიანთკარი);
- ნავდარაანთკარის კლასტერი (ნავდარაანთკარი, კოტორაანთკარი, ჭილაანთკარი, ბურიანი და მიმდებარე სააგარაკე დასახლებები);
- ბიწმენდის კლასტერი (ბიწმენდი, ჯილაურა, ახატანი).

არეალში გვხვდება შემდეგი სახის დაუსახლებელი ტერიტორიები:

1. სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები;
2. დაცული ტერიტორიები;
3. ლანდშაფტური ტერიტორიები;
4. სატყეო ტერიტორიები.

დოკუმენტში დასახლებული და დაუსახლებელი ტერიტორიები განხილულია ყველაზე მაღალ იერარქიულ დონეზე - განსახლების სტრუქტურის ფარგლებში, ხოლო სამშენებლო/არასამშენებლო და ნაშენი/უშენი ტერიტორიები სივრცითი კატეგორიების ჭრილში.

გეგმის კონცეფციის ეტაპზე შემოთავაზებულია განაშენიანებული და გაუნაშენიანებელი ტერიტორიების მართვის, განვითარებისა და განაშენიანების პირობები, რომლებიც საგურამოს გეგმარებით არეალს ყოფს ოთხ განსხვავებულ ნაწილად: ნაშენი ტერიტორია; სარეზერვო ტერიტორია; გდგ არეალები; და უშენი ტერიტორიები.

დოკუმენტის თანახმად, აღნიშნული კატეგორიებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებს, რადგან სწორედ იგია ყველაზე მოწყვლადი ანთროპოგენური ზემოქმედებების თვალსაზრისით. სხვა დაუსახლებელი ტერიტორიებისგან განსხვავებით, სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები სხვადასხვა სახის საკუთრებაში არსებული მიწებია.

საკვლევ ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობებზე გავრცელებული ნიადაგები ხასიათდება მნიშვნელოვანი სამეურნეო თვისებებით, რომლებსაც გააჩნია უნარი უზრუნველყოს მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. კერძოდ, საპროექტო არეალზე გავრცელებულია ყავისფერი და ალუვიური ტიპის ნიადაგები,

რომლებზეც შესაძლებელია როგორც ვაზის, ისე ხეხილოვანი და ბოსტნეული კულტურების მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მიღება.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიას სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ესაზღვრება თბილისის ეროვნული პარკი და ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტი “Saguramo GE0000047”. თბილისის ეროვნულ პარკში წარმოდგენილია მაღალსენსიტიური ჰაბიტატები, სადაც ვხვდებით იშვიათ და ენდემურ სახეობებსა და აღმოსავლეთ საქართველოსთვის უნიკალურ მცენარეულობებს. იგი მაღალი საკონსერვაციო ღირებულების მატარებელია და მნიშვნელოვანია რეგიონის მრავალფეროვანი ფლორისა და ფაუნის შესანარჩუნებლად. დოკუმენტის თანახმად, მისი არსებობა და გავლენა საპროექტო ტერიტორიაზე ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია მისი ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის შემუშავების პროცესში. ლანდშაფტური კუთხით, საპროექტო ზონა ექცევა დამაკავშირებელ (კორიდორულ) ლანდშაფტში: თრიალეთი-გომბორი “B – Trialeti-Gombori”.

დოკუმენტაციის თანახმად, გდგ არეალები აქტიურად ჩნდება ეროვნული პარკის საზღვრებთან. დასახლებათა საზღვრების არარსებობის გამო ასეთი უბნები სწრაფად ფართოვდება და არარეგულირებულად იზრდება. სააგარაკე უბნები იჭრება სასოფლო-სამეურნეო მიწებში, სატყეო ფონდში და საფრთხეს უქმნის თბილისის ეროვნულ პარკს. დღითიდღე იზრდება ანთროპოგენული ზემოქმედება და პარკისა და მისი პერიფერიების ათვისება აქტიურად მიმდინარეობს მწვანე საფარის გაქრობის ხარჯზე.

დოკუმენტის მიხედვით, რისკების თავიდან აცილების მიზნით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია განაშენიანების რეგულირება პარკის მიმდებარედ. აღნიშნული საფუძველი უკვე შექმნილია ისეთი სტრატეგიული დოკუმენტით, როგორც არის „თბილისის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა“. ამას გარდა, საგურამოსა და მისი მიმდებარე ტერიტორიების სივრცითი დაგეგმარების გეგმის კონცეფციაში გათვალისწინებულია თბილისის ეროვნული პარკის საზღვართან ბუფერული სანიტარული დაცვის ზონის ფორმირება, რომლის ფარგლებშიც შეიზღუდება როგორც დასახლებული ტერიტორიების განვითარება, ისე სხვა ანთროპოგენული ჩარევები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამგვარი ზონის არსებობა ხანძრების პრევენციის მიზნით. ეს ხელს შეუწყობს სამომავლოდ დაცული ტერიტორიის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციას და წარმოდგენილი იქნება როგორც ერთგვარი საზღვარი დასახლებულ სივრცეებსა და დაცულ ტერიტორიას შორის.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მდინარე არაგვის კალაპოტის მიდამოებში გეგმარებითი არეალის დასავლეთით მდებარეობს თბილისის სასმელი წყლის რეზერვუარები, რომლებიც სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებია და გააჩნია დამტკიცებული სანიტარული დაცვის ზონები. დოკუმენტის მიხედვით, სანიტარული დაცვის ზონები მოიცავს 3 ზონას, რომლებიც ადგენს განსხვავებულ რეჟიმებს წყლის ობიექტებთან დაშორების მიხედვით.

სდზ-ს პირველი სარტყელი წარმოადგენს მკაცრი რეჟიმის ზონას, სადაც აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა წყალსაღების კომუნიკაციების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საქმიანობებისა.

სდზ-ს მეორე სარტყელი დაკავშირებულია წყლის დაცვის ზონასთან, სადაც აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა (გარდა წყალსაცავის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საქმიანობებისა), რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს წყალსაცავის დაბინძურება ან/და წყლის ხარისხის გაუარესება. სდზ-ის მეორე სარტყლის სახმელეთო ნაწილი (მშენებლობის აკრძალვის ზონა) მოიცავს წყალსაცავის აკვატორიის მომიჯნავე ტერიტორიას, რომელიც შემუშავებულია არსებული დასახლებების, საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკის მქონე უბნებისა და გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ფაქტორების გათვალისწინებით.

სდზ-ის მესამე სარტყელი წარმოადგენს სამეთვალყურეო ზონას (შეზღუდული განაშენიანების ზონა), რომელიც მოიცავს მეორე სარტყლის მოსაზღვრე ტერიტორიას, სადაც განაშენიანება დაშვებულია შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვებით.

კონცეფციის ეტაპზე გადაწყვეტილებისთვის შემუშავებული სივრცითი კატეგორიზაცია საპროექტო ტერიტორიის საზღვრებში მოიცავს დასახლებული ადგილების შემდეგ ტიპიზაციას:

- აგარაკი - სააგარაკე დასახლება;
- სოფელი;
- დაბა.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ჩატარებული კვლევითი სამუშაოების საფუძველზე გეგმარებით არეალზე გამოიყოფა შემდეგი ტიპის განაშენიანებული ტერიტორიები:

- ცალკეული წარმონაქმნი;
- სააგარაკე მორფოტიპი;
- სასოფლო მორფოტიპი;
- სუბურბანული მორფოტიპი;
- დაბის მორფოტიპი.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე გამოკვეთილია შემდეგი სახის ბუნებრივი საშიშროების რისკები:

- ღვარცოფული მოვლენები (საშიშროებების კერა - დამშრალი ხევები);
- მიწისძვრა;
- მეწყრული კერები.

ღვარცოფული მოვლენები მდინარის კალაპოტში ქვა-ტალახიანი მასების წარმოქმნისა და გადაადგილების შედეგია, რომელსაც იწვევს ინტენსიური წვიმები. ამ ნაკადების მოქმედებას პერიოდულად გამოჰყავს საირიგაციო ობიექტები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. გარდა ბუნებრივი მოვლენებისა, არასრულყოფილი სანიაღვრე და საკანალიზაციო ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მიმდინარე სტიქიური მოვლენების უფრო რთულ ფორმაში წარმოდგენას.

დოკუმენტის მიხედვით, მნიშვნელოვანია, როგორც ეფექტური სადრენაჟო სისტემების შემუშავება დასახლებული პუნქტის დატბორვის თავიდან ასაცილებლად, ისე შემაკავებელი აუზებისა და წვიმის წყლის მართვის სისტემების მშენებლობა ჩამონადენის გასაკონტროლებლად და წყალდიდობის რისკის შესამცირებლად. დოკუმენტაციის თანახმად, მნიშვნელოვანია მდგრადი ურბანული სისტემების (suds) დანერგვა, რომლებიც მიზნად ისახავს თანამედროვე სადრენაჟო სისტემების გათანაბრებას ბუნებრივი წყლის პროცესებთან. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, მდინარეთა თუ მშრალი ხევების ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საგურამოს გეგმარებითი არეალი ხასიათდება მშრალი ხევების სიმრავლით. კვლევით ეტაპზე გამოვლინდა ღვარცოფის წარმოქმნის ადგილები, რომლებიც, ძირითადად, მდინარე თემამის შუა წელში ფიქსირდება. აღნიშნულია, რომ არანაკლები რისკის მატარებელია მშრალი ხევების სიახლოვეს მშენებლობის წარმოებაც, რომელიც, არსებული მდგომარეობით, ხევების სიახლოვეს დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთებზე მიმდინარეობს. ამასთან, აღსანიშნავია მშრალი ხევებისა და ხაზოვანი ინფრასტრუქტურის გადაკვეთის ადგილები. მნიშვნელოვანია, ასევე, დამშრალი ხევების ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება.

დოკუმენტაციის მიხედვით, თბილისის სასმელი წყლის რეზერვუარების დაცვისთვის სდზ-ს II სარტყელსა და ს-3 ახალ ღერძს შორის არსებულ არეალში მშენებლობა განსაკუთრებულად უნდა დარეგულირდეს; თბილისის სასმელი წყლის რეზერვუარების დაცვისთვის სდზ-ს III სარტყელში მკაცრად უნდა გაკონტროლდეს იმ შენობა-ნაგებობათა პარამეტრები, რომელთა აშენებაც დაიგეგმება; თბილისის ეროვნული პარკის მიმდებარედ განაშენიანების წარმოქმნისას უნდა მოხდეს პარკის ტყის საფარსა და განაშენიანებას შორის, სულ მცირე, 100 მ სიგანის სანიტარული დაცვის ზოლის ფორმირება, რათა მინიმუმადე დავიდეს ტყის ხანძრის წარმოქმნის რისკი; აღნიშნულ ტერიტორიაზე არ უნდა ჩამოყალიბდეს როგორც ხე-მცენარეთა ახალი სარტყელი, ისე განაშენიანებული გარემო.

სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ტყის ფონდის დაცვისთვის მნიშვნელოვანია სოფელ წინამძღვრიანთკართან და ბიწმენდთან, აგარაკ ბურიანთან, სატყეო საზღვრიდან 50 მ-ს დაშორების მანძილზე შეიქმნას სანიტარული დაცვის ზოლი, რათა მინიმუმადე დავიდეს ტყის ხანძრის წარმოქმნის რისკი. აღნიშნულ ტერიტორიაზე არ უნდა ჩამოყალიბდეს როგორც ხე-მცენარეთა ახალი სარტყელი, ისე განაშენიანებული გარემო.

დოკუმენტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტების ფიზიკური დაცვის არეალში გადაუდებელი საჭიროების გარდა არ უნდა მოხდეს სამშენებლო საქმიანობის წარმოება, ხოლო ამ უკანასკნელი აუცილებლობის შემთხვევაში უნდა შემუშავდეს შესაბამისი პროექტი; ვიზუალური დაცვის არეალში არ უნდა მოხდეს სამშენებლო საქმიანობის წარმოება დარგობრივი ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციების გარეშე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია გამოირჩევა რელიეფის მრავალფეროვნებით, სადაც განაშენიანებული არეალები გვხვდება რთული რელიეფის

პირობებშიც. დასახლებათა მედეგი განვითარებისთვის, რაც მოიაზრებს ბუნებრივი კატასტროფების მიმართ მედეგობას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მთის ფერდობების განაშენიანების პირობებში დაცული იყოს განაშენიანების ინტენსივობის ბალანსი, რაც უზრუნველყოფს უხვად მოსული ნალექის შეწოვას ნიადაგის მიერ და უზრუნველყოფს ღვარცოფული პროცესების პრევენციას.

დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ გდგ არეალებად გამოყოფილია ტერიტორიები, სადაც არსებული მდგომარეობით აღინიშნება გარკვეული სახის მშენებლობა, რომელიც შეუსაბამოა მიმდებარე განაშენიანებასთან ან/და გდგ მასშტაბის ტერიტორიაზე მშენებლობა განხორციელებულია სამშენებლო ნებართვების დარღვევით. საგურამოს გეგმარებით ტერიტორიაზე ასეთი ათი არეალია იდენტიფიცირებული.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ისეთი ინდიკატორების რეგულირება, როგორებიც არის: განაშენიანების განფენილობა; საცხოვრებელი ერთეულის სიმჭიდროვე; მოსახლეობის სიმჭიდროვე; და კომიუტერების რაოდენობა.

დოკუმენტის მიხედვით, განაშენიანების დეტალური გეგმის ფარგლებში შესაძლებელია დარეგულირდეს ისეთი საკითხები, როგორებიც არის: განაშენიანების ესთეტიკური პარამეტრები; უსაფრთხოების უზრუნველყოფა; შეკავშირებულობის უზრუნველყოფა; მობილობის კარკასის ფორმირება; მწვანე დერეფნების ფორმირება; ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა; და მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობის განსაზღვრა.

კონცეფციით განსაზღვრული მთავარი გზების/ქუჩების კარკასი წარმოადგენს სივრცის მაფორმირებელი მაკავშირებელი დერეფნების წარმოქმნას, რომელთაგან ერთი, საგურამოს გავლით უკავშირდება სოფელ შანკევანს, ნავდარაანთკარსა და ბურიანს. აღნიშნული დერეფნის ფორმირება და საბოლოოდ ჩამოყალიბება უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის დერეფნის ფორმირებას, რაც მნიშვნელოვანია არსებული და პერსპექტიული განაშენიანებული არეალებისთვის.

დოკუმენტის მიხედვით, ს3 - მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსი ახალი გზის ტერიტორია საპროექტო არეალში, ყოფილ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე გაივლის. არეალის ახალ გზასთან მაკავშირებელი კვანძები კი საგურამოსთან და ჭოპორტთან განთავსდება. სატრანზიტო ნაკადები, რომლებიც ახალ ტრექტორიაზე გაივლის ასევე უარყოფით გავლენას იქონიებს შ-149 გზის დატვირთვაზე, უმუშალოდ თეძამის ხეობაში. **სწორედ ამით არის განპირობებული ახალი შიდა დერეფნების წარმოქმნა და ნაკადების მათზე გადნაწილების აუცილებლობა დასახლებებს შორის.** ამასთან აღსანიშნავია, რომ გზა ამარტივებს საგურამოსა და მიმდებარე სოფლების კავშირს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრთან (მცხეთასთან) და წარმოქმნის ალტერნატიულ მარშრუტს დუშეთის მუნიციპალიტეტში მდებარე სააგარაკე დასახლებებთან ახატანსა და შინდიაში, ჭოპორტის კვანძის გავლით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, არსებული დერეფნები, რომლებიც აკავშირებს დასახლებებს უკვე ვეღარ აკმაყოფილებს ნაკადების დატვირთულობას. გამტარუნარიანობის მხრივ, ყველზე პრობლემური დერეფანი ცხვარიჭამია-საგურამო-წიწამურის, შ-149 გზაზეა. ახალი სააგარაკე

უბნების განვითარება ხშირად, სწორედ ამ გზის მიღმა ხდება, რაც დამატებითად ტვირთავს დერეფანს. შ-149 გზის განსატვირთად აუცილებელია ალტერნატიული მარშრუტების წარმოქმნა, რომლებიც მის პარალელურად განვითარდება და თემამისადმი პერპენდიკულარულად მიმართული განივი გზებით შეკავშირდება. შ-149 გზის პარალელური ახალი დერეფნები გალავანი-ჯილაურაა და გდგ არელების გავლით, საგურამო-კოტორაანთკარის მარშრუტების სახით არის წარმოდგენილი. ამგვარად შ-149 გზა სატრანზიტო ფუნქციის მქონე დერეფნად დარჩება, ხოლო ახალი მარშრუტები დასახლებათაშორისი მაკავშირებლები გახდება. ამ დერეფნების დიდი ნაწილი, რომელიც ამჟამად უშენ ტერიტორიაზე მდებარეობს, ხშირად გრუნტის გზების სახით არის წარმოდგენილი.

სკოპინგის ანგარიშით განსაზღვრული ახალი დერეფნები მოიცავს დასახლებაში სარეაბილიტაციო დერეფნებს, დასახლებათაშორის სარეკონსტრუქციო დერეფნებს, არსებულ სარეაბილიტაციო გრუნტის გზებსა და დასახლებათაშორის ახალ დერეფნებს.

დოკუმენტაციის თანახმად, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში არსებული 35კვ და მეტი ძაბვის ეგზ-ს სიგრძე 484.85 კმ-ია. ასევე, 2016 წელს გაიხსნა და ექპლუატაციაში შევიდა 5 მეგავატი წარმადობის „საგურამო ჰესი“, რომელიც ფუნქციონირებს ბოდორნა-თბილისის ზღვის სადერივაციო სისტემიდან აღებული წყლის გამოყენებით. დოკუმენტის მიხედვით, ჰესის წყლით მომარაგებას უზრუნველყოფს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ბიწმენდი-ჯილაურა-წინამდვრიანთკარი-გალავანი-ზაქაროს უბანზე გადის ცენტრალური 110 კვ და 35 კვ გადამცემი ხაზები, რაც არსებულ განაშენიანებას სრულად აკმაყოფილებს. ბურიანი-ჭილაანთკარი-კოტორაანთკარის უბანზე გადის ცენტრალური 35 კვ-იანი გადამცემი ხაზი, რაც, აგრეთვე, არსებულ განაშენიანებას სრულად აკმაყოფილებს. საგურამო-ახალსოფელი-არაშენდა-ნავდარაანთკარის უბანზე გადის ცენტრალური 35 კვ-იანი გადამცემი ხაზი. აღნიშნული გადამცემი ხაზი, ამ შემთხვევაშიც, არსებულ განაშენიანებას სრულად აკმაყოფილებს.

საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციონირებს შპს „საქართველოს მელიორაციის“ კაპიტალში არსებული სარწყავი სისტემები: ლამი-მისაქციელის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხი; საგურამოს მაგისტრალურ არხი და მისი გ-1, გ-2, გ-3, გ-4, გ-5, გ-6, გ-7, გ-8, და გ-9 გამანაწილებლები.

შპს „საქართველოს მელიორაციის“ ინფორმაციით, 2023-2026 წლებში კომპანიას არ აქვს დაგეგმილი ახალი სარწყავი ან სადრენაჟო ქსელის მოწყობის სამუშაოები.

დოკუმენტის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე არ არსებობს სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის ერთიანი ქსელი. საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ინდივიდუალური წყალმომარაგება ხდება, ძირითადად, ადგილობრივი ჭაბურღილების მეშვეობით.

სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სოფ. საგურამოს დასახლებას არ გააჩნია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა და ჩამდინარე წყლები, გაწმენდის გარეშე ჩაედინება

ზედაპირული წყლის ობიექტებსა და გრუნტში. მოსახლეობის უმრავლესობას მოწყობილი აქვს მიწისქვეშა საასენიზაციო ჭები. საკანალიზაციო სისტემის არარსებობა წარმოშობს ანტისანიტარიულ მდგომარეობას.

დოკუმენტის თანახმად, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა დაგეგმილი აქვს მცხეთის მუნიციპალიტეტის, კერძოდ კი სოფ. საგურამოს ტერიტორიაზე.

დოკუმენტაციის მიხედვით, კლიმატის მიმდინარე ცვლილებების ტენდენციების შესწავლა საკვლევ რეგიონში დათბობას ადასტურებს. სახეზეა კლიმატის ცვლილების თითქმის ყველა ინდიკატორი, კერძოდ: ჰაერის მიწისპირა ტემპერატურის მატება; ტენიანობის ზრდა; ცხელი დღეებისა და თბილი ღამეების გახშირება, ცივი დღეებისა და ღამეების განმეორებადობის შემცირება; თბილი პერიოდების/თბური ტალღების სიხშირისა და ხანგრძლივობის ზრდა; ყინვიანი დღეების რაოდენობის კლება; ცვლილებები ნალექების რეჟიმში; უზვნალექიან დღეთა განმეორებადობის, ნალექის ინტენსივობისა და რაოდენობის ზრდა; და გვალვების ინტენსივობისა და ხანგრძლივობის ზრდა.

საკვლევ არეალში აღნიშნულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის 31 უძრავი არქეოლოგიური, არქიტექტურული და მემორიალური ძეგლი. ამ ძეგლების გარდა, საკვლევ არეალის 42 არქიტექტურული ნაგებობა და არქეოლოგიური ობიექტი მიჩნეულია კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებად.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გეგმარებითი ერთეულისთვის წინამდებარე სტრატეგიული დოკუმენტი პირველია. თუმცა, გეგმარებით ერთეულში არსებული ცალკეული ტერიტორიებისთვის დამტკიცებულია სხვა სტრატეგიული დოკუმენტებიც - ძირითადად განაშენიანების დეტალური გეგმები. გარდა სკოპინგის ანგარიშით ცხრილში მოცემული ქალაქგეგმარებითი სტრატეგიული დოკუმენტებისა, გეგმარებითი ერთეული ნაწილობრივ მოიცავს თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიას, რომლისთვისაც დამტკიცებულია თბილისის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა.

დოკუმენტაციის თანახმად, მცხეთის მუნიციპალიტეტის საგურამოს, გალავნის, ნავდარაანთკარისა და ჯილაურას ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების სივრცითი დაგეგმარების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესში ალტერნატივები განხილული იქნება შემდეგი მიმართულებებით:

- ნულოვანი ალტერნატივა (არაქმედების) - სცენარი, როდესაც გეგმარებითი ერთეული ვითარდება სტრატეგიული დოკუმენტის გარეშე არსებული ტენდენციებით;
- გეგმარებითი ალტერნატივა - გეგმარებითი ალტერნატივა შეიძლება მოიცავდეს გეგმარებითი ერთეულის და/ან კონკრეტული არეალების ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით განვითარების სხვადასხვა ვარიანტს;

- კონკრეტული პროექტის ალტერნატივა - ამ შემთხვევაში შეფასდება გეგმარებითი ერთეულისთვის დამუშავებული ზოგიერთი კონკრეტული პროექტის ალტერნატივები ადგილმდებარეობის ან განვითარების ტიპის მიხედვით.

ნულოვანი და გეგმარებითი ალტერნატივების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ცხრილი. ცხრილი მოიცავს, როგორც ბუნებრივი, ისე სოციალური გარემოს კომპონენტებს. გეგმარებითი ერთეულის ფონური მონაცემებისა და გეგმარებითი პარამეტრების გათვალისწინებით რანჟირებული მატრიცით შეფასდება სხვადასხვა ინდიკატორებზე ზემოქმედება და გამოყვანილი იქნება საშუალო მაჩვენებელი.

ალტერნატივა 1-ის მიხედვით განაშენიანების უმეტესობა განვითარებულია სააგარაკე ფუნქციით. არსებულ დასახლებებთან მდებარეობის შესაბამისად ახალი განაშენიანებული ტერიტორია ატარებს სააგარაკე უბნის ან სააგარაკე დასახლების კატეგორიას. შესაბამისად, გდგ არეალები წარმოდგენილია ერთბინიანი ინდივიდუალური სააგარაკე დასახლებული სახლების ტიპებით.

ალტერნატივა 2 - ის შემთხვევაში განვითარება მოიაზრებს ახალი განაშენიანების განვითარებისთვის სოფლის მიმდებარე ტერიტორიების ათვისებას და უარს ამბობს მსხვილი სააგარაკე არეალების განაშენიანებაზე. ამ პრინციპის მიზანია მაქსიმალურად გამორიცხოს ექსტენსიური განაშენიანება და მხარი დაუჭიროს კომპაქტური დასახლებების შექმნას. ამ ფორმატში გამოწვევად რჩება დასახლებათა უწყვეტობის წარმოქმნის რისკი, რომლის პრევენციისთვის შესაძლებელია მწვანე დერეფნების ფორმირება ერთის მხრივ ახალ და ძველ განაშენიანებას შორის, ხოლო მეორეს მხრივ, ახალი განაშენიანებული ტერიტორიების უბნებს შორის.

დოკუმენტის მიხედვით, დაცული უნდა იყოს ბუფერული ზონები; განვითარება უნდა მოერგოს ლანდშაფტს და მან საჭირო ინფრასტრუქტურული ჩარევებით არ უნდა დააზიანოს ადგილის იდენტობის განმსაზღვრელი პეიზაჟები, რომელთა ფორმირებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს მშრალი ხეები მათ ნაპირზე არსებული გამწვანებებით.

ალტერნატივა 1-სგან განსხვავებით ალტერნატივა 2 მხარს უჭერს ახალი უბნების წარმოქმნას და არა ახალი დასახლებების გაჩენას. განვითარების შემდეგი სარტყელი კვარტლის ნახევარს მოიცავს, რომელსაც სატრანსპორტო და საინჟინრო კომუნიკაციებთან ექნება წვდომა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, კონკრეტული პროექტების ალტერნატივების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება რანჟირებული მატრიცა იმ განსხვავებით, რომ ზემოქმედების ფაქტორები ამ შემთხვევაში უფრო კონკრეტული იქნება. კონკრეტული პროექტების ალტერნატივები განხილული იქნება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ჭრილში. ალტერნატივებთან დაკავშირებული სხვა საკითხები დაზუსტდება და უფრო დეტალურად სგმ-ს ანგარიშში იქნება წარმოდგენილი.

დოკუმენტაციის მიხედვით, სტრატეგიული დოკუმენტის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციის შუალედური ვერსიის გარემოსდაცვით ჭრილში განხილვის შემდეგ, იკვეთება

საკითხები, რომლებიც სგმ-ს ეტაპზე, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ზემოქმედების თვალსაზრისით, უფრო დეტალურად იქნება განხილული.

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედებების დახასიათებაში გათვალისწინებულია შემდეგი **კომპონენტები**: ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები; ატმოსფერული ჰაერი და ნიადაგი; ლანდშაფტები და სატყეო ტერიტორიები; სოფლის მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო მიწები; კულტურული მემკვიდრეობა; ბიოლოგიური გარემო; და სოციალურ-ეკონომიკური გარემო.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პროცესში არსებობს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხზე უარყოფითი ზემოქმედების რისკები, კერძოდ, წყლის ხარისხის გაუარესება სხვადასხვა დამაბინძურებლის ჩადინების შედეგად. აღნიშნულია, რომ წყლის გარემოზე ზემოქმედების რისკები იზრდება, აგრეთვე, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას (კონცეფციით განსაზღვრული მთავარი ქუჩის/გზის კარკასის განვითარებისას).

დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით მოსალოდნელია ასევე დადებითი ზემოქმედება წყლის რესურსების დაცვისა და მასზე უარყოფითი ზემოქმედების შერბილების თვალსაზრისით. კერძოდ, ყურადღება არის გამახვილებული სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით, მთელი გეგმარებითი ერთეულისთვის შესაბამის ზონირებასა და სამშენებლო შეზღუდვების შემუშავებაზე, რაც სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიების სწორ განვითარებაში აისახება. ამასთან, სკოპინგის ანგარიშის მიხედვით,, პროექტის შემდეგ ეტაპზე დამუშავდება ჩამდინარე წყლების მართვის რეკომენდაციები.

სივრცითი კონტექსტის თვალსაზრისით, დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედება შესაძლოა გასცდეს გეგმარებითი ერთეულის საზღვრებს.

სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციის შუალედური ვარიანტის ანალიზის მიხედვით, ატმოსფერული ჰაერისა და ნიადაგის კომპონენტებზე უარყოფითი ზემოქმედება არ იქნება მაღალი ხარისხის. მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებები, ძირითადად, დროში შეზღუდული და არამუდმივი იქნება და მხოლოდ სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებით შემოიფარგლება.

დადებითი ზემოქმედების კუთხით, სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება ხელს შეუწყობს არათანმიმდევრული პროცესების (გეგმარებითი ტერიტორიისთვის მოქმედი ქალაქგეგმარებითი დოკუმენტის არარსებობა; სხვადასხვა სახის, არასისტემური სამშენებლო აქტივობები; დასახლებული პუნქტების დიდი ნაწილის სათანადო კომუნალური ქსელებით უზრუნველყოფის უგულვებელყოფა) ჩარჩოში მოქცევას, რაც, თავის მხრივ, დადებით ზეგავლენას იქონიებს გარემოს კომპონენტებსა და არსებულ ფონურ მდგომარეობაზე. ამასთან, ატმოსფერულ ჰაერსა და ნიადაგზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება არ გასცდება გეგმარებითი ტერიტორიის საზღვრებსა და მომიჯნავე ტერიტორიებს.

დოკუმენტაციის თანახმად, ლანდშაფტზე უარყოფითი ზემოქმედება, რომელიც სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებას შეიძლება დაუკავშირდეს, ხედვებით წარმოდგენილი კონკრეტული პროექტებია (არსებული და საპროექტო გზების/ქუჩების კარკასის განვითარება). ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას ლანდშაფტზე უარყოფითი ზემოქმედება ახასიათებს, რაც შეიძლება გამოხატული იყოს ლანდშაფტის დეგრადირებისა და მთლიანობის დარღვევაში. თუმცა, სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება, ძირითადად, დადებითად აისახება ლანდშაფტების მდგომარეობაზე იმის გათვალისწინებით, რომ სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ, საკვლევი ტერიტორიის განვითარება მოხდება ქალაქგეგმარებითი დოკუმენტის მიხედვით, რომელიც გეგმარებითი ერთეულისთვის განსაზღვრავს სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიების გამოყენების პირობებს შესაბამისი ქალაქგეგმარებითი პარამეტრების მიხედვით.

დოკუმენტის თანახმად, ატმოსფერული ჰაერისა და ნიადაგის მსგავსად, ლანდშაფტებსა და სატყეო ტერიტორიებზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებები არ გასცდება გეგმარებითი ტერიტორიის საზღვრებსა და მომიჯნავე ტერიტორიებს.

სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და სოფლის მეურნეობის კუთხით, სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ შემოთავაზებული ქალაქმშენებლობითი ზონირებისა და სამშენებლო რეგლამენტების თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეობის განვითარებასა და სასოფლო-სამეურნეო მიწების არასისტემური ათვისების პრევენციას. დოკუმენტაციის მიხედვით, ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება არ გასცდება გეგმარებითი ტერიტორიის საზღვრებსა და მომიჯნავე ტერიტორიებს.

კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართებით, სტრატეგიული დოკუმენტი ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის რეკომენდაციებს და ამ რეკომენდაციების სივრცით ასახვას ქალაქმშენებლობის დოკუმენტში (შესაბამისი ზონებითა და დამცავი არეალებით).

გარემოს კომპონენტებზე სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედებების საკითხი დეტალურად სგმ-ს ანგარიშში იქნება წარმოდგენილი.

სკოპინგის ანგარიშით წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ადამიანის ჯანმრთელობის დეტერმინანტებზე ზემოქმედების სწრაფი შეფასება სტრატეგიული დოკუმენტის მიზნების, ამოცანებისა და კონკრეტული პროექტების მიხედვით.

დოკუმენტის თანახმად, სგმ-ს ეტაპზე, საკვლევ არეალში შერჩეულ ლოკაციებზე განხორციელდება ნიადაგისა და წყლის ხარისხის კვლევები. აგრეთვე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ფონური მდგომარეობის შეფასებისთვის, შერჩეულ წერტილებში ჩატარდება ინსტრუმენტალური გაზომვები. დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ სგმ-ს ეტაპისთვის ასევე განხორციელდება გეგმარებითი ერთეულის ბიომრავალფეროვნების კვლევა; მოხდება ელექტრომაგნიტური რისკების შეფასებაც, სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან მიმართებით.

სგშ-ს ანგარიშის მიხედვით, სათანადო მონაცემების არსებობის შემთხვევაში, გარემოს კომპონენტებსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი შეფასებისთვის გამოყენებული იქნება დოკუმენტაციაში წარმოდგენილი მატრიცა.

სგშ-ს ანგარიშში სტრატეგიული დოკუმენტის კონცეპტუალური მონახაზიდან გამომდინარე, ცხრილის სახით შემუშავებულია შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირებისთვის საჭირო ღონისძიებები. დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ ცხრილში წარმოდგენილი საკითხები დაზუსტებული იქნება სგშ-ს ეტაპისთვის. ამასთან, სგშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი იქნება გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკითხები, რომლებიც მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- რეცეპტორი;
- საკვლევი პარამეტრი/საკითხი;
- მონიტორინგის განხორციელების მეთოდი;
- პასუხისმგებელი;
- მონიტორინგის განხორციელების მიზანი.

სტრატეგიულ დოკუმენტში ასახული იქნება საზოგადოების მხრიდან, სტრატეგიული დოკუმენტისა და სგშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვების პერიოდში მიღებული მოსაზრებები/შენიშვნები.

მცხეთის მუნიციპალიტეტის საგურამოს, გალავნის, ნავდარაანთკარისა და ჯიღაურას ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების სივრცითი დაგეგმარების გეგმის კონცეფციის სგშ-ს სკოპინგის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია გაეგზავნა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, შპს საქართველოს მელიორაციასა და სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას. საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსგან დოკუმენტთან დაკავშირებით შენიშვნების წარმოდგენის შემთხვევაში, დამატებით ეცნობება დამგეგმავს. საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

სგშ-ს ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. სგშ-ს ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 26-ე მუხლით დადგენილ ინფორმაციას;
2. სგშ-ს ანგარიში უნდა მოიცავდეს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების მონიტორინგთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სადაც ასევე აისახება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები;

3. **სგშ-ს ანგარიშში** უნდა აისახოს ინფორმაცია გარემოზე ზემოქმედების შესახებ, ტურიზმის განვითარებისა და ტურისტული ნაკადის ზრდის გათვალისწინებით;
4. **სგშ-ს ანგარიშს** უნდა დაერთოს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ადგილის და აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისთვის შერჩეული ტერიტორიების shp ფაილები;
5. **სგშ-ს ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა ღონისძიებები იგეგმება დაცული ტერიტორიების მიმდებარედ, shp ფაილების მითითებით;
6. **სგშ-ს ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის განცხადებაში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია;
7. **სგშ-ს ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტისთვის საკვანძო გარემოსდაცვითი საკითხები და სგშ-ის პროცესში შესწავლილი ზემოქმედებები;
8. **სგშ-ს ანგარიშში** უნდა შეფასდეს გეგმის სხვადასხვა სექტორულ და მულტისექტორულ სტრატეგიულ დოკუმენტებთან კავშირი, მათ შორის სტრატეგიული დოკუმენტებით გათვალისწინებული პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე;
9. **სგშ-ს ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების საანგარიშო პერიოდი;
10. **სგშ-ს ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია თარიღების, განხილული საკითხებისა და სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში მიღებული შენიშვნების გათვალისწინების შესახებ, მათ შორის დაინტერესებულ საზოგადოებასთან კონსულტაციის შედეგები;
11. **სგშ-ს ანგარიშში** უნდა იყოს განხილული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოს ყველა კომპონენტზე (მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე) შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი და წარმოდგენილი უნდა იყოს იმ ღონისძიებების ჩამონათვალი, რომლებიც დაგეგმილია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შემთხვევაში შესაძლო უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირებისთვის; წარმოდგენილი უნდა იყოს, ასევე, მონიტორინგის ღონისძიებები პასუხისმგებელი ორგანოების მითითებით;
12. **სგშ-ს ანგარიშსა** და სტრატეგიულ დოკუმენტში საჭიროა, განხილული იყოს ინფორმაცია სივრცითი კატეგორიების (ბუნებრივი ლანდშაფტი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიები, დასახლებული ტერიტორიები) ფუნქციების, დადგენილი შეზღუდვებისა და ნებადართული საქმიანობების შესახებ;
13. **სგშ-ს ანგარიშში** სრულყოფილად უნდა იყოს წარმოდგენილი საკვლევი არეალის ჰიდროლოგიური პირობები და მასთან დაკავშირებული საფრთხეები (მაგ. წყალდიდობა-წყალმოვარდნების საფრთხეები და ა.შ). სგშ-ს ანგარიშში უნდა

აისახოს წყალდიდობა-წყალმოვარდნის საფრთხის თაობაზე შემდეგი ინფორმაცია:

- წყლის ობიექტების აუზების მახასიათებლები, განსაკუთრებით წყალდიდობების განმეორებადობის ალბათობა/ხდომილება და მახასიათებლები, მათი სიმძიმე და წყალდიდობისგან დაცვის არსებული ღონისძიებები, რომლებიც გავლენას ახდენს წყალდიდობის მიმდინარეობაზე;

- გამოყოფილი (ადმინისტრაციულად გამოყოფილი) დატბორვის ზონების, აქტიური ზონების, დატბორვის ზონების ტერიტორიების მასშტაბი და მახასიათებლები;

- არსებული ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს წყალდიდობის რისკებს და ხელშემშლელი ფაქტორები, წყალდიდობისგან დაცვის ღონისძიებები;

- დატბორვის ზონაში მდებარე განაშენიანებული ტერიტორიის არეალის წილი - მუნიციპალიტეტების მასშტაბით განაშენიანებულ საერთო ტერიტორიასთან შედარებით (დასახლების წილი, რომელიც ექვევა წყალდიდობის საშიშროების ქვეშ);

14. **სგშ-ს ანგარიშში** ცალკე თავი უნდა დაეთმოს ალტერნატივების მიმოხილვას, მათ ანალიზსა და შეფასებას; წარმოდგენილი უნდა იყოს განაშენიანების სტრატეგიული, გეგმარებითი და კონკრეტული ალტერნატივები, ასევე, ამ ალტერნატივების შეფასება და შედარება გარემოსა ან/და ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი ზემოქმედების თვალსაზრისით. ალტერნატივების შერჩევა უნდა მოხდეს შემოთავაზებული ალტერნატივების (მათ შორის, ნულოვანი ალტერნატივა) გარემოს კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების ფაქტორის ხარისხის გათვალისწინებით; წარმოდგენილი უნდა იყოს ალტერნატივების შერჩევის მიმოხილვა;

15. **სგშ-ს ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე და გარემოს სხვა კომპონენტებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ (შესაბამისი პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების მითითებით);

16. **სგშ-ს ანგარიშში** მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ანგარიშის მომზადებაში ჩართული ექსპერტების თაობაზე, კვალიფიკაციის მითითებით;

17. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს ანგარიშზე მუშაობისას, კონცეფციით გათვალისწინებულ ხედვებსა და ღონისძიებებთან დაკავშირებით, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან კონსულტაციების შედეგების შესახებ ინფორმაცია.

18. **სგშ-ს ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ანალიზის საფუძველზე შემუშავებული კლიმატის საფრთხეების მოწყვლადობის მატრიცა. აგრეთვე, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია განაშენიანების ტერიტორიაზე ექსტრემალური ამინდის მოვლენებით გამოწვეული ინფრასტრუქტურის დაზიანების თაობაზე.

მოწყვლადობის მატრიცის შესაძლო ფორმატი

გეგმის მგრძობიარე კომპონენტები	შეხება (შესაბამისი კლიმატური ცვლადები და საფრთხეები საპროექტო არეალისთვის, როგორც ამჟამინდელი, ისე სამომავლო, ე.ი. კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით, ინდიკატორული შეფასების რანჟირების შემდეგი დონეებით: დაბალი, საშუალო, მაღალი).			
	სიცხე	გვალვა	წყალდიდობები	...
ფართობი X.x. სასოფლო-სამეურნეო მიწა (მდინარის გასწვრივ)				
დერეფანი Y.x				
დერეფანი Z.x (მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი)				
ფართობი X.z (საცხოვრებელი ტერიტორია, საოჯახო სახლები)				
...				

19. სგშ-ს ანგარიშში ნარჩენების მართვის საკითხები წარმოდგენილი უნდა იყოს ნარჩენების მართვის კოდექსის და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

20. სგშ-ს ანგარიშში გეოლოგიური ნაწილი წარმოდგენილი უნდა იყოს ქვეთავების სახით, შემდეგი თანმიმდევრობით:

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური პირობები;
- გეოდინამიკური საფრთხეების შეფასება, შესაბამისი ზონირების რუკის შემუშავებით.

სგშ-ს ანგარიშის მომზადებისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

- ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების კუთხით, დოკუმენტში აღნიშნულია სოფელი ჭოპორტის და სოფელი ახატანის დამაკავშირებელი გრუნტის გზა. ვინაიდან სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალს წარმოადგენს მცხეთის მუნიციპალიტეტის საგურამოს, გალავნის, ნავდარაანთკარისა და ჯილაურას ადმინისტრაციული ერთეულების სოფლები, **სგშ-ს ანგარიშში** აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას.
- **სგშ-ს ანგარიშში** წყლის საკვლევი პარამეტრები წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით განსაზღვრული რეგლამენტების მიხედვით (სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი, გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი (N17, N425));
- **სგშ-ს ანგარიშში** განხილული უნდა იყოს თუ რა შეხებაშია ჟინვალის წყალსაცავის გარღვევის სცენარები საპროექტო არეალთან;
- **სგშ-ს ანგარიშში** ყურადღება უნდა გამახვილდეს ბიომრავალფეროვნების აღწერის სრულფასოვან მომზადებაზე. მაგალითისთვის, დასაბუთებას საჭიროებს შემდეგი გარემოება: სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილ ქვეთავში (**5.5.1 - მცენარეული საფარი**) მოცემული ფრინველთა ჩამონათვალი სრულად იდენტურია ამავე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შემსრულებელი საკონსულტაციო ორგანიზაციის (ააიპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“) მიერ წარმოდგენილ განსხვავებულ სგშ სკოპინგის ანგარიშში (**დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭოპორტისა და სოფელი ახატანის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების და მათი მიმდებარე ტერიტორიების სივრცითი დაგეგმარების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიში**) არსებული ქვეთავისა **6.5.1 - მცენარეული საფარი**. ორივე სკოპინგის ანგარიშში იდენტურია ფრინველების ნაწილი, მათ შორის, წარმოდგენილი ფოტომასალები (**ილუსტრაცია 6.21 და ილუსტრაცია 5.26**). იდენტურია ასევე **მწერების, ობობების და ქვეწარმავლებისა და ამფიბიების (კლასი: Reptilia et Amphibia)** ნაწილები.
- **სგშ-ს ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს დამატებითი ინფორმაცია განაშენიანების გეგმით გათვალისწინებული პროექტების განხორციელებით ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ.
- შპს „საქართველოს მელიორაციის“ ინფორმაციით, სივრცითი დაგეგმარების გეგმის არეალში ექცევა კომპანიის კაპიტალში რიცხული საგურამოს სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხი და ბურიანის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხი გამანაწილებელი ქსელებით. სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისთვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენა-გასხვისების სამშენებლო ნორმების დამტკიცების შესახებ, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 2003 წლის 30 ივნისის №19 ბრძანების შესაბამისად, გასხვისების ზოლები აღნიშნული მაგისტრალური არხებისთვის შეადგენს არხის ბერმის კიდედან 6-6 მეტრს მის ორივე მხარეს, ხოლო გამანაწილებელი ქსელისთვის 4-4 მეტრს მის ორივე მხარეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებულ ტერიტორიაზე პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა განხორციელდეს სამელიორაციო

ინფრასტრუქტურის და მისი საექსპლუატაციო გზის დაუზიანებლად. მათი დაზიანების შემთხვევაში, მშენებელი კომპანიის მიერ უნდა მოხდეს დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა. ამასთან, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ან მისი საექსპლუატაციო გზის კვეთის შემთხვევაში, პროექტი შეთანხმებული უნდა იყოს კომპანიასთან. ასევე, დაუშვებელია მაგისტრალურ არხებში და მის გამანაწილებელ ქსელში ჩამდინარე წყლების ჩაშვება.

- საკვლევი ტერიტორიის ნაწილი ფიქსირდება თბილისის ეროვნული პარკის საზღვრებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, **სგმ-ს ანგარიშში** ასახული უნდა იყოს ინფორმაცია დაცული ტერიტორიების შესახებ. ასევე, საქმიანობა, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს დაცულ ტერიტორიებთან, საჭიროა შეთანხმდეს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან.
- წარმოდგენილი საპროექტო არეალის მთლიანი 83855821 კვ.მ. (8386 ჰა) (shp ფაილები) ფართობიდან, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 28251718 კვმ (2825 ჰა) წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, ბარისახოს სატყეო უბნის ჭოპორტის სატყეოსა და მცხეთის სატყეო უბნის გალავნის სატყეოში. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.
- **სგმ-ს ანგარიშში** განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ღვარცოფულ პროცესებსა და იმ პრევენციულ ღონისძიებებზე, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს დასახლებული პუნქტების უსაფრთხოება.

სგმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით.

დასკვნითი ნაწილი:

მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ საგურამოს, გალავნის, ნავდარაანთკარისა და ჯიღაურას ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების სივრცითი დაგეგმარების გეგმის კონცეფციის სგმ-ს ანგარიშში სავალდებულოა მომზადდეს სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის შესაბამისად.